

ნასესხები ანთროპონიმების შემცველი ჰიბრიდული  
ტოპონიმების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური  
ადაპტაციისათვის სვანურში

მოკლე შინაარსი

მრავალრიცხოვანი ნასესხები ანთროპონიმების შემცველ ჰიბრიდულ (ე. წ. ნაჯვარ) ტოპონიმებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ წარმოების მხრივ სიტყვათშეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმ-კომპოზიტებში ორწევრიანი (ბინომური) მართულმსახდერელიანი სახელები გამოიყოფა. ჰიბრიდულ ტოპონიმთა ძირითად მოდელებში კი ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი, ანუ ამ შემთხვევაში მატოპონიმებლად გამოყენებული ანთროპონიმი) შემოსული ჩანს ძირითადად ქართულ-ზანურიდან (უშუალოდ თუ შუალობით), ხოლო ნაწილი თურქულიდან (**ყარაჩაულ-ბაღყარულის, ყუმისურის... გზით**) როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით (მაგ.: ალექსანდრე, **არსენა, ნიკოლოზ, პეტრე, როსტომ, სოსლან...**), ასევე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა თუ სემანტიკური ნიუანსებით (სახეცვლილი მონაცემებით). როგორც დადგინდა, თურქულენოვან ანთროპონიმთა და ზოგადად, **-ხან, -ყან, -ბი...** ფორმანტებით მარკირებულ საკუთარ სახელთა ფართოდ გავრცელება სვანურში განაპირობა ჩრდილო კავკასიის ენებთან – ადიღურ-ყაბარდოულთან, ყარაჩაულთან და ბაღყარულთან მეზობლობამ, უშუალო კონტაქტმა, სოციალურ-ეკონომიური, სამეურნეო, კულტურული და სხვა სახის კონტაქტებმა.

ზოგიერთი ნასესხები ფუძე „გასვანურებულია“, ანუ შეიცავს სვანური ენისათვის დამახასიათებელ მორფოლოგიურ ინვენტარს: პალატალურ, ველარულ თუ ლაბიალურ უმლაუტს, გრძელ ხმოვანს, ანაპტიქსურ ელემენტს და ა. შ. გარდა ამისა, ნასესხებ ანთროპონიმთა ერთ ნაწილში საკმაოდ ხელშესახებია შემდეგი ფონეტიკური პროცესები: აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაცია, თანხმოვანთა გამჟღერება, გამკვეთრება, **ლ/მ/ნ/რ** (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა, რედუქციის პროცესები მსუბუქ და მძიმე ბირთვებში, ბგერათა ჩართვა-დაკარგვა და სხვ. იშვიათად, მაგრამ მაინც კნინობითის სუ-

ფიქსებით გაფორმებული ნასესხები ანთროპონიმებიც დასტურდება.

**საკვანძო სიტყვები:** ტოპონიმია, ანთროპონიმია, სემანტიკა, ფონეტიკა-ფონოლოგია, სინტაქსი

*Medea Sagliani*

## **TOWARDS PHONETIC-PHONOLOGICAL AND SEMANTIC ADAPTATION OF HYBRID TOPONYMS CONTAINING LOAN ANTHROPHONYMS**

### *Abstract*

Observation of the loan anthroponyms containing hibrid (so called cross-bred) toponyms show that in toponyms derived from word combination two-membered (binominal) nouns of the managed determiner are sticking out. In the basic models of hybrid toponyms, however, one of the component (mostly the first, in other words, anthroponym used as toponym) appears mainly from Georgian-Zan (directly or indirectly), from Turkish (**via Karachay-Balkar, Khumikh...**) as a phonetically-semanticly unchanged form (for example: **Aleksandre, Arsena, Nikoloz, Petre, Rostom, Soslan...**) as well as various phonetic variants or semantic nuances (modified data). According to the special literature, the wide spread of Turkish anthroponyms and generally, proper nouns marked with formants **-xan, -gan, -bi...** in the Svan language is as a result of relation to the languages of the North Caucasus - Circasian-Kabardian, Karachay and Balkar and also socio-economic, cultural contacts.

Some loan roots contain morphological elements characteristic of the Svan language: palatal, velar or labial umlaut, long vowels, anaptyxis elemens and so on. In addition, in one part of loan anthroponyms the following phonetic processes are quite relevant: Africatization-disafricatization, voiced consonants, devoicing, interchanging of consonants (sonant) **l/m/n/r**, reduction processes in heavy and light forms, getting and losing sounds, rarely, but we have loan anthroponyms formed by the suffixes of the diminutive.

**Key Words:** Toponymy, anthroponomy, semantics, phonetics-phonology, syntax.

**შესავალი.** ტოპონიმია, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდის შემადგენელი ნაწილია. იგი ენის ზოგად კანონზომიერებებს ექვემდებარება, რაც, ბუნებრივია, არ გამოორიცხავს ამა თუ იმ ენის საერთო წესების სპეციფიკურ მოხმარებას. საზოგადო სახელებთან საერთოობა აიხსნება იმით, რომ ტოპონიმი რომელიმე კონკრეტული ენის ბაზაზე იქმნება და მის ლექსიკას განეკუთვნება, თავისებურების მიზეზი კი ისაა, რომ ტოპონიმია დამოუკიდებელ სისტემას ქმნის ენაში. დამოუკიდებელ სისტემას კი წარმოებისა და შინაგან მიმართულებათა თავისი წესები აქვს, შეპირობებული და შესამებული ენის ზოგადი კანონზომიერებების მიერ (ჯორბენაძე, 1986: 31). ცხადია, ტოპონიმამ დამოუკიდებელი სისტემა შექმნა სვანურშიც და ამ ენის ლექსიკური ფონდის სპეციფიკურ ნაწილად იქცა. სვანურ ტოპონიმთა ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ამასთანავე, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა, ბუნებრივია, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს: ისტორიულ გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, მხარეთმცოდნეობას, არქეოლოგიას და ა. შ.

ცნობილია ისიც, რომ ტოპონიმთა კლასიფიკაცია სამ ძირითად პრინციპს ემყარება: ფორმობრივს, შინაარსობრივსა და გენეტიურს (ანუ მოტივაციურს - იქვე: 12). სწორედ ამ საკლასიფიკაციო პრინციპების გათვალისწინებით ვიკვლევთ სვანურ მრავალფეროვან ტოპონიმიკურ მასალას.

### **კვლევის მიზანი და მსჯელობა.**

ამჯერად ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს ნასესხები ანთროპონიმების შემცველი სვანური ჰიბრიდული (resp. ნაჯვარი) ტოპონიმების გამოვლენა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა წარმოადგენს, რისთვისაც დიდძალი ნასესხები ანთროპონიმების შემცველი სვანური ჰიბრიდული ტოპონიმები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი სვანურია (ანუ პოვნიერია სვანურში), მეორე კომპონენტი კი შემოსულია ან სხვა ქართველური ენებიდან, ან რომელიმე უცხო ენიდან (მაგ., რუსულიდან, თურქულიდან, ბერძნულიდან, ოსურიდან...) ქართულის, ან ყარაჩაულ-ბალყარულის და ა. შ. გზით, დავაჯგუფეთ შემდეგ ნაწილებად:

1) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი) ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) + თურქულიდან**

(ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმბისურის... გზით) ნასესხები საკუთარი სახელია (ანუ ანთროპონიმი), მეორე კი საკუთრივ სვანური ლექსიკური ერთეული (უმეტესად საზოგადო არსებითი სახელი): **ალექსნ მოლ** (ლნტ.) „სა ბა ლა ხო (ზედმიწ. – ალექს-ი{ს} ახო)“ < ქართ. ალექს-ი < ალექსანდრე (< ბერძ.) „მცველი“ და სვან. მოლ „ახო, საყანედ გაკაფული ტყე“; **ამბაკომოლ** (ლნტ.) „სადორები (ზედმიწ. – ამბაკო-{ს} ახო)“ < ქართ. ამბაკო (< ძვ. ებრ.) „ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელია და ნიშნავს მოხვევას, ჩახუტებას (გადატ. „ღვთის მოყვარე“, „სიყვარული ღვთისა“)“ და სვან. მოლ „ახო, საყანედ გაკაფული ტყე“; **ანდრიანალზიგუტ** (ლნტ.) „ნამოსახლარი (ზედმიწ. – ანდრია-{ს} ნამოსახლარი)“ < ქართ. ანდრია (< ბერძ.) „მამაცი“, „ვაჟკაცი“, „მხნე“ და სვან. ნალზიგუტ „ნამოსახლარი“; **ანთიმოზი მოლ** (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – ანთიმოზ-ი{ს} ახო)“ < ქართ. ანთიმოზ-ი (< ბერძ.) „ყვავილოვანი“, „აყვავებული“ და სვან. მოლ „ახო, საყანედ გაკაფული ტყე“; **ანტონი მოლ** (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – ანტონ-ი{ს} ახო)“ < ქართ. ანტონ-ი (< ბერძ.) „მეომარი“, „ომში ჩაბმული“, „წინამძღოლი“, „მეთაური“ და სვან. მოლ „ახო, საყანედ გაკაფული ტყე“; **არსენაშ მოლდარ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – არსენა-ს ახოები)“ < ქართ. არსენა (< ბერძ.) „მამაცი“, „ვაჟკაცი“ და სვან. მოლ „ახო, საყანედ გაკაფული ტყე“; **არჩილი მოლ** (ჩოლ.) „სათიბები (ზედმიწ. – არჩილ-ის ახო)“ < ქართ. არჩილ-ი (< ირან.) „სწორი“, „წორფელი“, „მართალი“, „ნათელი“, „მადლმოსილი“ და სვან. მოლ „ახო, საყანედ გაკაფული ტყე“; **ასანიშა ლქცური** (ბქ.) „კლდე (ზედმიწ. – ასან-ის საჯიხვე)“ < ქართ. ასან-ი (< ჰასან-ი) (< არაბ.) „კარგი“, „მშვენიერი“ და სვან. ლქცური „საჯიხვე“; **ასლანბეგი მოლდარ** (ბხ.) „სათიბი, ტყე (ზედმიწ. – ასლან-ბეგ-ი{ს} ახოები)“ < ქართ. ასლანბეგ-ი < ძვ. თურქ. arslan „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ + beg (/bej) „ბატონი“ და სვან. მოლ „ახო, საყანედ გაკაფული ტყე“; **ასლანრე მურყუამ** (ბქ.) „ნაკომკარი (ზედმიწ. – ასლან-ებ-ი{ს} კომკი)“ < ძვ. თურქ. arslan „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ და სვან. მურყუამ „კომკი“; **აქსენტი მურყუამ** (ბხ.) „კომკი (ზედმიწ. – ავქსენტ-ი{ს} კომკი)“ < ქართ. ავქსენტ-ი (< ბერძ.)

<sup>1</sup> შესაძლოა, საკ. სახ. ასა, რომელიც რამდენიმე ტოპონიმში – ასაშა კუთხ, ასაშა მოლარ, ასაშა... ფიქსირდება, სწორედ ასან (< ჰასან) ფუძისაგან მომდინარეობდეს.

„ზრდადი“ და სვან. **მურყუამ** „კოშკი“; **წთიმოზიშ ნწიხუ** (ბქ.) „ნიგუზნარ-მუხნარი (ზედმიწ. – ანთიმოზ-ის \*ნამწვი)“ < ქართ. ანთიმოზ-ი (< ბერძ.) „ყვაეილოვანი“, „აყვაეებული“ და სვან. **წწიხუ** „{და}ნამწვარი“; **არჩილ მურყუამ** (ბზ.) „კოშკი (ზედმიწ. – არჩილ-ი{ს} კოშკი)“ < ქართ. არჩილ-ი (< ირან.) „სწორი“, „წრფელი“, „მართალი“, „ნათელი“, „მადლმოსილი“ და სვან. **მურყუამ** „კოშკი“; **ბაგრატ ლწრილ** (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბაგრატ-ი{ს} სათიბუკა)“ < ქართ. ბაგრატ-ი < ძვ. სპარს. bagadata „ღვთის ბოძებული“, „ღვთის წყალობა“ და სვან. **ლწრა** „სათიბი“; **ბეჟანი მოლ** (ჩოლ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბეჟან-ი{ს} ახო)“ < ქართ. ბეჟან-ი < ძვ. ირან. ვეჟან „ვეჯელი“, ანუ „ირანელი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ბეჟნმოლ** (ჩოლ.) „ახოები (ზედმიწ. – ბეჟ-ი{ს} ახო)“ < ქართ. ბეჟან-ი<sup>2</sup> < ძვ. ირან. ვეჟან „ვეჯელი“, ანუ „ირანელი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ბესარიონი მოლ** (ლშხ.) „სადოვარი (ზედმიწ. – ბესარიონ-ი{ს} ახო)“ < ქართ. ბესარიონ-ი (< ბერძ.) „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ბესწრიონიშ ლარა** (ლხმ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბესარიონ-ი{ს} სათიბი)“ < ქართ. ბესარიონ-ი (< ბერძ.) „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“ და სვან. **ლარა** „სათიბი“; **ბესწმოლ** (ლნტ.) „სადოვარი (ზედმიწ. – ბესა-{ს} ახოები)“ < ქართ. ბესა < ქართ. ბესარიონ-ი (< ბერძ.) „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“ (*ენინ. ფორმებია: ბესა, ბესო, ბესიკ, ბესიკო*) და სვან. **მოლ** „ახო“ (*მდრ. ბქ. ბესწრიონ და ბესწრ*); **ბესო მოლ** (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – ბესო-{ს} ახო)“ < ქართ. ბესო < ქართ. ბესარიონ-ი (< ბერძ.) „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ბექმერზაშ ნადგარ** (ბქ.) „სადოვარი (ზედმიწ. – ბეგ-მირზა-ს {მო}ნაკლავი)“ < ძვ. თურქ. **beg (/bej)** „ბატონი“ + არაბ.-სპარს. amirzade „ამირის შვილი“ და სვან. **ნადგარ** „{მო}ნაკლავი“; **ბექტრბი მოლ** (ლნტ.) „სადოვარი (ზედმიწ. – ბექირ-ბი-{ს} ახო)“ < ყარაჩ.-ბალყ. **bij** < თურქ. **beg (/bej)** „ბატონი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ბექტრბიშ ლაროლ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბექირ-ბი-ს სათიბები)“ < ყარაჩ.-ბალყ. **bij** < თურქ. **beg (/bej)** „ბატონი“ და სვან. **ლარა** „სათიბი“; **თემრახი ლარელ** (ლშხ.) „სადოვარი (ზედმიწ. – თეიმურაზ-ის სათიბები)“ <

<sup>2</sup> ბეჟან-ის კნინობითი ფორმებია ქართულში: ბეჟია, ბეჟუა, ბეჟიკო, ბეჟუკო, ბეჟიტა. სვანურმა, როგორც ჩანს, ქართულიდან კნინობითი ფორმებიც ისესხა, რასაც მოწმობს ბეჟან ფორმის პარალელურად აუსლაუტში ხმოვანმოკვეცილი ბეჟი<sup>2</sup>ს არსებობაც.

ქართ. თეიმურაზ-ი (< ირან.) „სხეულით ძლიერი“ (უძვ. ფორმაა **თაჰმაშურუპა** „ძლიერი მელა“ – ჭუმბურიძე, 1992: 116) და სვან. **ლარა** „სათიბი“; **თათარყანიშ ლარა** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – **თათარყან-ის** სათიბი)“ < ქართ. თათარხან-ი < თურქ. **tatar** + უძველესი თურქული ტიტული **xan** და სვან. **ლარა** „სათიბი“; **ლადიმე მოლ** (ჩოლ.) „სახნავ-სათიბი (ზედმიწ. – **ვლადიმერ-ის**) ახო“ < ქართ. ვლადიმერ (< ძვ. სლავ.) „ქვეყნის მფლობელი“ (შდრ. გოთ. ვოლდემარ „განთქმული/ცნობილი ბატონი“, „მფლობელი“, შემოკლ. ქართული ფორმაა ლადო, მოფერებით – ლადიკო) და სვან. **მოლ** „ახო“; **ლადრ მოლ** (ლშხ.) „ყანები (ზედმიწ. – **ვლადიმერ-ის**) ახო“ < ქართ. ვლადიმერ (< ძვ. სლავ.) „ქვეყნის მფლობელი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ლადიმერიშ ჭუტედ** (ბქ.) „სადოვარი (ზედმიწ. – **ვლადიმერ-ის**) კედელი“ < ქართ. ვლადიმერ (< ძვ. სლავ.) „ქვეყნის მფლობელი“ და სვან. **ჭუტედ** „კედელი“; **მერზაშ ბაჩარ** (ბქ.) „სადოვარი (ზედმიწ. – **მირზა-ს** ქვები)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. amirzade „ამირის შვილი“ და სვან. **ბჩ** „ქვა“; **მერძა ბჩ** (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – **მირზა-ს** ქვა)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **ბჩ** „ქვა“; **ნიკოლოზა მოლ** (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – **ნიკოლოზ-ის**) ახო“ < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. **ნიკე** „გამარჯვება“ და **ლას** „ხალხი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ნიკო მოლ** (ჩოლ.) „სადოვარი (ზედმიწ. – **ნიკო-ის**) ახო“ < ქართ. ნიკო < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. **ნიკე** „გამარჯვება“ და **ლას** „ხალხი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ნიკუტე მოლ** (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – **ნიკო-ის**) ახო“ < ქართ. ნიკო < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. **ნიკე** „გამარჯვება“ და **ლას** „ხალხი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **მესუბე მოლარ** (ჩოლ.) „სადოვარი (ზედმიწ. – **იოსებ-ის**) ახოები“ < ქართ. იოსებ-ი (< ძვ. ებრ.) „გამარავლება“, „მატება“ და სვან. **მოლ** „ახო“; **იორდანე მოლ** (ჩოლ.) „სათიბი (ზედმიწ. – **იორდანე-ის**) ახო“ < ქართ. იორ და ნე < ბერძ. **Ιορδανης** < სვან. **მოლ** „ახო“; **იორდანე ნაყროჭლ** (ჩოლ.) „სადოვარი (ზედმიწ. – **იორდანე-ის**) ნახოვარი“ < ქართ. იორდანე < ბერძ. **Ιορδανης** < სვან. (ჩოლ.) **ლიყროტე** „ხის დაკოდვა; ტყის გაკაფვა“; **პეტრე მოლ** (ჩოლ.) „სადოვარი (ზედმიწ. – **პეტრე-ის**) ახო“ < ქართ. პეტრე

<sup>3</sup> ბალსხემოურში აუსლაუტმოკვეცილი **პეტრ** ტოპონიმიც დასტურდება, თუმცა არა შესიტყვების წევრად, არამედ დამოუკიდებლად.

(**< ბერძ.**) „კლდე, ლოდი“ და სვან. **მოლ** „ახო; პეტრე ლნრა (ჩოლ.) „სათიბი (ზედმიწ. – პეტრე-**{ს}** სათიბი)“ **< ქართ.** პეტრე (**< ბერძ.**) „კლდე, ლოდი“ და სვან. **ლნრა** „სათიბი; პეტრედ მოლ (ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – პეტრე-**{ს}** ახო)“ **< ქართ.** პეტრე (**< ბერძ.**) „კლდე, ლოდი“ და სვან. **მოლ** „ახო; პეტრეშ ლაკცურიან (ბქ.) „კლდე (ზედმიწ. – პეტრე-**{ს}** საჯიხვეები)“ **< ქართ.** პეტრე (**< ბერძ.**) „კლდე, ლოდი“ და სვან. **კუიცრა** „დედალი ჯიხვი“; **პეტრეშ სარანგ** (ბქ.) „წყარო (ზედმიწ. – პეტრე-ს წყარო)“ **< ქართ.** პეტრე (**< ბერძ.**) „კლდე, ლოდი“ და სვან. **სარანგ** „წყარო; როსტომი მოლ (ლშხ.) „საძოვარი (ზედმიწ. – როსტომ-ის ახო)“ **< ქართ.** როსტომ-ი (**< სპარს.**) „ლომი“, „გმირი“<sup>4</sup> და სვან. **მოლ** „ახო“; **დალაკიონი ლიცნლდ** (ლშხ.) „წყარო (ზედმიწ. – გალაქტიონ-ის წყალუკა)“ **< ქართ.** გალაქტიონ-ი (**< ბერძ.**) „რძისა, რძიანი“ და სვან. **ლიც** „წყალი“; **ყარამანი მოლ** (ლშხ.) „საძოვარი (ზედმიწ. – ყარამან-ის ახო)“ **< ქართ.** ყარამან-ი (**< სპარს.**) „გმირი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ყარამანი მოლრდ** (ჩოლ.) „საძოვარი (ზედმიწ. – ყარამან-ის ახოუკა)“ **< ქართ.** ყარამან-ი (**< სპარს.**) „გმირი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ცუცან მოლ** (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. – ცუცა-**{ს}** ახო)“ **< ქართ.** ცუცა და სვან. **მოლ** „ახო“; **ხუტრე ნამურყუამ** (ლხმ.) „ნაკოშკარი (ზედმიწ. – ხუტა-ებ-ის ნაკოშკარი)“ **< ქართ.** ხუტა (**< ხურიტ.**) „მებრძოლი (ღვთაების ეპითეტია)“ და სვან. **მურყუამ** „კოშკი“; **ჯანსუხუტი მურყუამ** (ბზ.) „ნაკოშკარი (ზედმიწ. – ჯანსუღ-ის კოშკი)“ **< ქართ.** ჯანსუღ (**< სპარს.**) „სუღ-დამწვარი“, „შეფვარებული“ და სვან. **მურყუამ** „კოშკი“...

2) სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) + თურქულიდან (ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმისურის... გზით) ნასესხები საკუთარი სახელია (ანუ ანთროპონიმი), მეორე კი საერთოქართველური ლექსიკური ერთეული: **ასლანბექიშ/ახსანბეგიშ ნაკ** (ბქ.) „საძოვარი (ზედმიწ. – ასლან-ბექ-ის ვაკე)“ **< ქართ.** ასლანბეგ-ი **< ძვ. თურქ.** arslan „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ + beg (/bej) „ბატონი“ და სვან. **ნაკ** „ვაკე (მდრ. ს.-ქართვ. \*ტაკ-ე)“; **არჩიი ნაკნ** (ბზ.) „ყანები (ზედმიწ. – არჩილ-ის ვაკე-ები)“ **< ქართ.** არჩილ-ი (**< ირან.**) „სწორი“, „წრფელი“, „მართალი“, „ნათელი“, „მადლმო-

<sup>4</sup> სინამდვილეში შედგება ორი სიტყვისაგან: რუსტ „სიმაღლე“ და ტაჰმ „ძალა“, სპარსულად გამოითქმის რუსტამ... (იქვე: 139).

სილი“ და სვან. ნაკ „ვაკე (შდრ. ს.-ქართვ. \*ტაკე)“; **ბაგრტი** **ლჭემა**(ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბაგრტი-ის) სათიბი“ < ქართ. ბაგრტი-ი < ძვ. სპარს. bagadata „ღვთის ბოძებულის“, „ღვთის წყალობა“ და სვან. **ლჭემა** „სათიბი (შდრ. ს.-ქართვ. \*წამ/\*წემ)“; **ბასილჭემა** (ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბასი-ის) სათიბი“ < ქართ. ბასილი-ი (ბერძ.) „მეფური“, „სამეფო“ და სვან. **ლჭემა** „სათიბი (შდრ. ს.-ქართვ. \*წამ/\*წემ)“; **თემრზიშ დაბგლდ** (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. – თემურაზ-ის ყანუკა)“ < ქართ. თემურაზ-ი (< ირან.) „სხეულით ძლიერი“ (უძვ. ფორმაა **თაჰმაურუპა** „ძლიერი მელა“ – იქვე: 116) და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. \*დაბ-)“; **ვლადიმერ-ის** (ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – ვლადიმერ-ის) სათიბი“ < ქართ. ვლადიმერ (< ძვ. სლავ.) „ქვეყნის მფლობელი“ და სვან. **ლჭემა** „სათიბი (შდრ. ს.-ქართვ. \*წამ/\*წემ)“; **ვლადიმერიშ ნალქორ** (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. – ვლადიმერ-ის) ნასახლარი“ < ქართ. ვლადიმერ (< ძვ. სლავ.) „ქვეყნის მფლობელი“ და სვან. **ნალქორ** „ნასახლარი (შდრ. ს.-ქართვ. \*ქორ-)“; **მერზაბეგირ დაბზ** (ბზ.) „საძოვარი (ზედმიწ. – მირზა-ბეგ-ის) ყანები“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ + თურქ. **beg (/bej)** „ბატონი“ და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. \*დაბ-)“; **მერზილშ ტუიბ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – მირზა-ს ხევი/ხეობა; დელე)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **ტუიბ** „ხევი/ხეობა; დელე (შდრ. ს.-ქართვ. \*ტაბ-)“; **ნიკოლოზი დაბზ** (ლნტ.) „ყანები (ზედმიწ. – ნიკოლოზ-ის) ახო“ < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. **ნიკე** „გამარჯვება“ და **ლაოს** „ხალხი“ და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. \*დაბ-)“; **დესებიშ დაბზ** (ბქ.) „უბანი სახნავე-სათესითა და ბალ-ვენახებით (ზედმიწ. – იოსების ყანები)“ < ქართ. იოსები-ი (< ძვ. ებრ.) „გამრავლება“, „მატება“ და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. \*დაბ-)“; **დესებიშ/ესებიშ ლალგენ** (ბქ.) „ნაკარგები (ზედმიწ. – იოსების სა-დგ-ომი)“ < ქართ. იოსები-ი (< ძვ. ებრ.) „გამრავლება“, „მატება“ და სვან. **ლალგენ** „ღამის სათევი (შდრ. ს.-ქართვ. \*გ-)“; **პეტრეშ ლეჭმოლ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – პეტრე-ს

<sup>5</sup> ქვემო სვანურში **ბასილი**-ს შემოკლებული ვარიანტის – **ბასი**-ს პარალელურად **ბასილი**-ც დასტურდება შტო-გვარის აღმნიშვნელ ტოპონიმებში (შდრ. ბქ. **ბასილო** < ქართ. ბასილი-ი).

<sup>6</sup> შდრ. ბქ. **მერზაბეგ**.



სათიბები“ < ქართ. პეტრე (< ბერძ.) „კლდე, ლოდი“ და სვან. **ლეჭმე** „სათიბი (შდრ. ს.-ქართვ. \*წ1ამ-/\*წ1ემ-)“; **როსტმშ დაბ** (ბქ.) „საძოვარი (ზედმიწ. – როსტომ-ის ყანა)“ < ქართ. როსტომ-ი (< სპარს.) „ლომი“, „გმირი“ და სვან. დაბ „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. \*დაბ-)“; **სოსლანიშ ნთი** (ბქ.) „საძოვარი (ზედმიწ. – სოსლან-ის წილი/ხვედრი)“ < ქართ. სოსლან-ი (< ოს. < ინგუშ.) „ნართების ეპოსის ერთ-ერთი გმირის სახელი“ და სვან. ნთი „წილი, ხვედრი (შდრ. ს.-ქართვ. \*ულოთ-)“; **სოფიანშ დაბ** (ლხმ.) „სათიბი (ზედმიწ. – სოფიო-ს ყანა)“ < ქართ. სოფია < სოფიო (< სპარს.) „სიბრძნე“ და სვან. დაბ „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. \*დაბ-)“...

3) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) + თურქულიდან (ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმისურის... გზით) ნასესხები საკუთარი სახელია (ანუ ანთროპონიმი), მეორე კი, ასევე, ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები ლექსიკური ერთეული (უმეტესად საზოგადო არსებითი სახელი): ადი ლა რი ნა ქარ თოფლანლ (ლნტ.) „სა ძო-ვა რი (ზედმიწ. – ადილარი-ის) ნა-კარტოფილ-არი-ი“ < ქართ. ადილარი-ი (< (სავარაუდოდ) არაბ. **adil** „სამართლიანი“ და ქართ. კარტოფილ-ი < რუს. **Картофель** < გერმ. **kartoffel**; **ალექსანდრე დობირ** (ლნტ.) „სა თი ბი (ზედმიწ. – ალექსანდრე-ის) დობირა“ < ქართ. ალექსანდრე < (ბერძ.) „მამაცი მცველი“, „მცველი ვაჟკაცი“ და ქართ. (გურ.) დობირა/დობერა „საუკეთესო ნიდაგი (ვაზის გასაშენებლად)“; **ანტონრე ლასფლატურ** (ლხმ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – ანტონ-ებ-ის) სა-სა-ფლა-ო“ < ქართ. ანტონ-ი (< ბერძ.) „მეომარი“, „ომში ჩაბმული“, „წინამძღოლი“, „მეთაური“ და სვან. **ლასფლატურ** < ქართ. სასაფლაო; **არჩილშ ლაგარდუიშ** (ბქ.) „საკარტოფილე მთა (ზედმიწ. – არჩილ-ის სა-კარტოფილ-ე)“ < ქართ. არჩილ-ი (ირან.) „სწორი“, „წრფელი“, „მართალი“, „ნათელი“, „მადღმოსილი“ და სვან. **გარდუიშ** < ქართ. კარტოფილ-ი < რუს. **Картофель** < გერმ. **kartoffel**; **არჩილშ ლაკრატუი** (ბქ.) „ადგილი მთაში (ზედმიწ. – არჩილ-ის სა-კარგ-ე)“ < ქართ. არჩილ-ი (< ირან.) „სწორი“, „წრფელი“, „მართალი“, „ნათელი“, „მადღმოსილი“ და ქართ. კარაგი-ი; **ბაკშ ნაკრატუ** (ლხმ.) „საძოვარი (ზედმიწ. – ბაკა-ს ნაკარგ-ალ-ი)“ < ქართ. ბაკა|ბაკა < არაბ. **baka** „მუდმივი“, „მყარი“; **ბესნდეცილ** (ჩოლ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბესა-ის) ცაუკა“ < ქართ. ბესა < ქართ. ბესარიონ-ი (< ბერძ.) „ტყიანი ადგილი“;**

„ტყისა“ და სვან. დეც< ქართ. ცა; ბესნ ნაკრაჟულ (ბზ.) „სადოვარი მთა (ზედმიწ. – ბესი-ის ნა-კარგ-ალ-ი)“ < ქართ. ბესარიონ-ი (< ბერძ.) „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“ და სვან. ნაკრაჟულ< ქართ. კარაგი-ი; თემრზიში ბოგ (ბქ.) „ხიდი (ზედმიწ. – თეიმურაზ-ის ბოგა)“ < ქართ. თეიმურაზ-ი (< ირან.) „სხეულით ძლიერი“ და სვან. ბოგ „ხიდი“ < ქართ. ბოგა „პატარა ხიდი“; თემირი ფოქარ (ბქ.) „სათიბ-სადოვარი; კლდე გამოქვაბულით (ზედმიწ. – თემურ-ი-ის გამოქვაბულები)“ < ქართ. თემურ (< თურქ.-მონღ.) „რკინა“ და სვან. ფოქ „გამოქვაბული“ < ზან. (მეგრ.) ფოქვა/ფოქვე „გამოქვაბული, ბუნაგი“; თემერბეჟიშ ქუანარ (ბქ.) „კლდე (ზედმიწ. – თემურ-ბეგ-ის ქვ-იან-ებ-ი)“ < ქართ. თემურბეგ-ი < თურქ.-მონღ. timur „რკინა“ + თურქ. beg (/bej), „ბატონი“ და სვან. ქუანარ „ქვიანი ადგილი“, რომელიც შესაძლოა < ქართ. ქვა; კოსდშ ლაგარდუში (ლხმ.) „საკარტოფილე ადგილი (ზედმიწ. – კოსტა-ს სა-კარტოფილ-ე)“ < ქართ. კოსტა < ლათ. კონსტანტინე „მტკიცესი“, „ურყვევისა“, „მედგარისა“ და სვან. გარდუში< ქართ. კარტოფილ-ი < რუს. Картофель< გერმ. kartoffel; კოწიანშ ლაგარდუში (ლხმ.) „საკარტოფილე ადგილი (ზედმიწ. – კოწია-ს სა-კარტოფილ-ე)“ < ქართ. კოწია < ქართ. კოს ტა < ლათ. კონსტანტინე „მტკიცესი“, „ურყვევისა“, „მედგარისა“ და სვან. გარდუში< ქართ. კარტოფილ-ი < რუს. Картофель< გერმ. kartoffel; მიხეშ ლაგარდუში (ლხმ.) „ნაკარტოფილარი ადგილი (ზედმიწ. – მიხეილ-ი-ის ნა-კარტოფილ-არ-ი)“ < ქართ. მიხეილ-ი < რუს. Михаил< ბერძ. Михаил< ძვ. ებრ. Miquel (შდრ. ქართ. მიქელა) და სვან. გარდუში< ქართ. კარტოფილ-ი < რუს. Картофель< გერმ. kartoffel; მიხეა<sup>7</sup> ქუაბ (ლშხ.) „სადოვრები (ზედმიწ. – მიხეილ-ი-ის {გამო}-ქვაბ-{-ულ}-ი)“ < ქართ. მიხეილ-ი < რუს. Михаил< ბერძ. Михаил< ძვ. ებრ. Miquel (შდრ. ქართ. მიქელა) და ქართ. ქვაბ-ი „გამოქვაბული“; მერზა ჭალბ(ბქ.) „სადოვარი მთა, შენაკადი (ზედმიწ. – მირზა-ს ჭალა)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. amirzade „ამირის შვილი“ და სვან. ჭალბ „მდინარე“ < ქართ. ჭალა „წყლის პირი ნაყოფიერი (საბა)“; „ვაკე ადგილი“; დერდანე/დორდანე ნაკრაჟ (ჩოლ.) „სადოვარი (ზედმიწ. – იორდანე-ის ნა-კარგ-ალ-ი)“ < ქართ. იორ და ნე < ბერძ.

<sup>7</sup> შდრ. ბალსქემოური მენხ.

Iordaniya და ქართ. კარავი; **ონოფრემ ნკუეთ** (ლხმ.) „ტყე (ზედმიწ. – **ონოფრე-ს ნაკვეთი**)“ < ქართ. ონოფრე (< ეგვიპ.) „წმინდა ხარი“ და ქართ. ნაკვეთი; **რაჟდენიმ შურო** (ლხმ.) „საძოვარი (ზედმიწ. – **რაჟდენ-ის შურო**)“ < ქართ. რაჟდენი (< ირან.) „სჯულ-ბედნიერ-ი“ (ქართულიდან ჩანს შესული სხვა ენებში, მაგ., რუსულში – იქვე: 138) და ქართ. შურო 1. „ტყეში სერებს შუა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც სიგრძივ ჩადის, მაგრამ ხეობას არ წარმოადგენს“; 2. სპეც. „მორებისა და მისთ. თავქვე საცურებელი ღარობი/საშვავე“; **რდიმხანიშ ღარ** (ბქ.) „საძოვარი (ზედმიწ. – **რდიმხანი-ის ღარ-ი**)“ < თურქ. **radim** + უძველესი თურქული ტიტული **xan** და სვან. **ღარ** < ქართ. ღარი; **სერგინ ხარაჩოლ** (ჩოლ.) „საძოვარი (ზედმიწ. – **სერგ-ის ხარაჩო-ებ-ი**)“ < ქართ. სერგ-ი/სერგო (< ლათ.) „მაღალი“, „ღირსეული“, „მეზნებარე“ და ქართ. ხარაჩო 1. „შენობასთან გამართული ხის ან ლითონის დროებითი ნაგებობა“; 2. „ფიცრის სახერხი დაზგა“ < სპარს. **xarāci**...

4. **სვანურში საკმაოდ ხშირია ისეთი ჰიბრიდული ტოპონიმები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი) ნასესხები საკუთარი სახელებისაგან (ანუ ანთროპონიმებისაგან) ნაწარმოები შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელია, მეორე კომპონენტი კი შეიძლება იყოს ან საკუთრივ სვანური საზოგადო სახელი, ან საერთოქართველური ლექსიკური ერთეული, ან ქართულიდან ნასესხები საზოგადო არსებითი სახელი და ა. შ.: აბრამშა ცხეკ** (ბზ.) „ტყე (ზედმიწ. – **აბრამ-იან-თ ტყე**)“ < ქართ. აბრამ-ი (< ძვ. ებრ.) „მამა სიმაღლისა“, „ამაღლებული“ და სვან. **ცხეკ** „ტყე“; **აბრამშერნამურყტამ** (ბქ.) „ნაკოშკარი (ზედმიწ. – **აბრამ-ის-ან-ის ნაკოშკარი**)“ < ქართ. აბრამ-ი (< ძვ. ებრ.) „მამა სიმაღლისა“, „ამაღლებული“ და სვან. **მურყტამ** „კოშკი“; **აბრამშერ მურყტამ** (ბზ.)/**აბ რამ რე მურყტამ** (ბქ.) „ნაკოშკარი (ზედმიწ. – **აბრამ-ის-ან-ის კოშკი**)“ < ქართ. აბრამ-ი (< ძვ. ებრ.) „მამა სიმაღლისა“, „ამაღლებული“ და სვან. **მურყტამ** „კოშკი“; **ასლანშა მურყტამ** (ბზ.) „კოშკი (ზედმიწ. – **ასლან-იან-თ კოშკი**)“ < ქართ. ასლან-ი < ძვ. თურქ. **arslan** „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ და სვან. **მურყტამ** „კოშკი“; **არჩიშა დაბ** (ბზ.) „ყანა (ზედმიწ. – **არჩილ-იან-თ ყანა**)“ < ქართ. არჩილ-ი (ირან.) „სწორი“, „წორფელი“, „მართალი“, „ნათელი“, „მადლმოსილი“ და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. \*დაბ-)“; **ბაკაშა ღარე** (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. – **ბაკა-იან-თ სათიბი**)“ < ქართ. ბაკა|ბააკა < არაბ. **baqa** „მუღმივი“,

„მყარი“ და სვან. **ლწრე** „სათიბი“; **ბაკაშა/ბაკაშა მურყუამ** (ბზ.) „ნაკოშკარი (ზედმიწ. – ბაკა-იან-თ კოშკი)“ < ქართ. ბაკა||ბააკა < არაბ. **baqa** „მუდმივი“, „მყარი“ და სვან. **მურყუამ** „კოშკი“; **ბაკაშერ ნაბაჷ**(ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბაკა-ს-ან-ის ნაკარვალი)“ < ქართ. ბაკა||ბააკა < არაბ. **baqa** „მუდმივი“, „მყარი“ და სვან. **ბაჷ** „კარავი“; **ბაკაშერ ჭტუედ** (ბქ.) „სავარგული (ზედმიწ. – ბაკა-ს-ან-ის კედელი)“ < ქართ. ბაკა||ბააკა < არაბ. **baqa** „მუდმივი“, „მყარი“ და სვან. **ჭტუედ** „კედელი“; **ბაპუშ ღწრ** (ბზ.) „ღელე (ზედმიწ. – პაპ-იან-თ ღარ-ი)“ < მეგრ.-ლაზ. პაპ-უ < ლათ. **papa** < ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **ღწრ** < ქართ. ღარ-ი; **ბწდრიშამოლ** (ბზ.) „ტყე (ზედმიწ. – ბადრ-იან-თ ახო)“ < ქართ. ბადრ-ი (< არაბ.) „სავსე მთვარე“, გაღატ. „სრულქმნილი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **ბწდრიშა მურყუამ** (ბზ.) „ნაკოშკარი (ზედმიწ. – ბადრ-იან-თ კოშკი)“ < ქართ. ბადრ-ი (< არაბ.) „სავსე მთვარე“ და სვან. **მურყუამ** „კოშკი“; **ბწმერ კალღღწრ** (ბქ.) „კალო (ზედმიწ. – ბეი-ს-ან-ის კალო-უკე-ბი)“ < ქართ. ბეი < თურქ. **bej (/beg)** „ბატონი“ და სვან. **კალ** „ეხო; კალო“ < ქართ. კალო; **ბწსლიშა მურყუამ** (ბზ.) „კოშკი (ზედმიწ. – ბასილ-იან-თ კოშკი)“ < ქართ. ბასილ-ი (ბერძ.) „მეფური“, „სამეფო“ და სვან. **მურყუამ** „კოშკი“; **ბეგიშე წმმსტირ** (ბქ.) „სათიბი; ნასახლარი (ზედმიწ. – ბეგ-ის-ან-ის ნანგრევი)“ < ქართ. ბეგ-ი < თურქ. **beg (/bej)** „ბატონი“ და სვან. **წმმსტირ** „ნანგრევი“; **ბეჟწწმწმოლ** (ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბეჟან-იან-თ ახო)“ < ქართ. ბეჟან-ი < ძვ. ირან. ვეჟან „ვეჯელი“, ანუ „ირანელი“ (თავკიდური ბეგრა სპარსულშივე არის შეცვლილი – იქვე: 101) და სვან. **მოლ** „ახო“; **მურზაყანშა მურყუამ** (ბზ.) „კოშკი (ზედმიწ. – მურზაყან-იან-თ კოშკი)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ + სპარსული სუფიქსი **xan (= მირზახანი)** და სვან. **მურყუამ** „კოშკი“; **მურზაყანშა ცხეკ** (ბზ.) „ტყე (ზედმიწ. – მურზაყან-იან-თ კოშკი)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ + სპარსული სუფიქსი **xan (= მირზახანი)** და სვან. **ცხეკ** „ტყე“; **მურზაშა მურყუამ** (ბზ.) „კოშკი (ზედმიწ. – მირზა-ან-თ კოშკი)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **მურყუამ** „კოშკი“; **მერზაშა ღწრ** (ბზ.) „ტყე, საძოვარი (ზედმიწ.

<sup>8</sup> ბეჟან და ბეჟი ფორმათა პარალელურად ქვემო სვანურში საკ. სახ. ბეჟან<sup>8</sup>ც დასტურდება, რომელიც < ქართ. ბეჟანი.

– მირზა-ან-თ კოშკი“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. ღარ< ქართ. ღარ-ი; მერზაშა/მერზაღმა მურყუამ (ბზ.) „ნაკოშკარი (ზედმიწ. – მირზა-ან-თ კოშკი“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. მურყუამ „კოშკი“; მერძაღმა დაბარ (ჩოლ.) „ყანები (ზედმიწ. – მირზა-უკა-ან-თ ყანები“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“<sup>9</sup> და სვან. დაბ „ყანა“ (შდრ. ს.-ქართვ. \*დაბ-); ნსყიდღმა მურყუამ (ბზ.) „კოშკი (ზედმიწ. – ნსყიდა-ან-თ კოშკი“ < ქართ. ნსყიდა და სვან. მურყუამ „კოშკი“; ოთარშა მურყუამ (ჩოლ.) „კოშკი (ზედმიწ. – ოთარ-იან-თ კოშკი“ < ქართ. ოთარ (< არაბ.) „სურნელოვანი“, „ნელსაცხებელი“, „წამალი“ და სვან. მურყუამ „კოშკი“; ოთარშე ნამურყუამ (ბქ.) „ნაკოშკარი (ზედმიწ. – ოთარ-ის-ანი-ის} ნაკოშკარი“ < ქართ. ოთარ (< არაბ.) „სურნელოვანი“, „ნელსაცხებელი“, „წამალი“ და სვან. მურყუამ „კოშკი“...

5. სვანურში ხშირია, ასევე, სამკომპონენტო პიბრიდულ ტოპონიმთა ხმარების შემთხვევებიც, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალოდ), ან თურქულიდან (ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმისურის... გზით) ნასესხები ანთროპონიმია: არტენი ნადგარ დელა (ლნტ.) „დედე (ზედმიწ. – არტემ-ის} {მო}ნაკლავი დედე“ < ქართ. არტემ-ი (< ბერძ.) „ჯანმრთელი“, „უვნებელი“, სვან. ნადგარ „{მო}ნაკლავი“ და ქართ. დედე; აფრასიძე გელაშ ლექტურ (ბქ.) „წისკვილის მიდამო (ზედმიწ. – აფრას-ი-ძე გელა-ს წისკვილი“ < ქართ. აფრასიონ-ი (< სპარს.) „მრისხანე“, ქართ. გელა და სვან. ლექტურ „წისკვილი“; თენგიზიშ ყარაშ ნაყარ (ლხმ.) „ტყე

<sup>9</sup> როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, „ამირი არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს. ამირობით დაიწყო თავისი კარიერა თემურ-ლენგმა, რომელმაც შემდგომ თითქმის ნახევარი აზია დაიპყრო, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ამირის ტიტული და არ გაცვალა იგი უფრო საპატიო წოდებაზე – ხანზე (ამ ტიტულს ატარებდნენ მონღოლთა ბელადის ჩინგიზ-ხანის შთამომავლები, თემური კი მათ არ ეკუთვნოდა, ხოლო თემურის შვილებმა მიიღეს წოდება ამირ (ემირ)-ზადე. აქედან თავბოლოს მოკვეციტ მიღებულია მირზა, რომელიც გვხვდება როგორც ტიტულად, ისე საკუთარ სახელად. მაშასადამე, მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა „უფლისწული“, „ბატონიშვილი“, მოგვიანო ხანებში ასე მიმართავდნენ აგრეთვე მდივანმწიგნობრებს, მწერლებს, ოღონდ ამ შემთხვევაში მირზა სახელის წინ დაისმის, მაშინ როცა „უფლისწულის“ მნიშვნელობით ის სახელს მოსდევს“ (იქვე: 131).

(ზედმიწ. – თენგიზ-ის ყავრ-ის ნა-ყავრ-ალ-ი)“ < ქართ. თენგიზ (< თურქ. < მონღ. ჩინგიზ „დიდი“, „ძლიერი“), სვან. ყარ „ყავარი“ და ნაყარ „ნაყავრალი“ < ქართ. ყავარი-ი; კაციალშა დერმინედ ლჭემა (ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – კაცია-ან-თ ერმინე-{ს} სათიბი)“ < ქართ. კაცია და ქართ. ერმილე (< ბერძ.) „ჰერმესის ტყისა“ და სვან. ლჭემა „სათიბი (შდრ. ს.-ქართუ. \*წამა/\*წემ-“; ჟიბე უთთიშა ზაგზარ (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. – ზემო ოთია-ან-თ ზეგანი)“ < სვან. ჟიბე „ზემო“, ქართ. ოთია < ქართ. ოთარ-ი (< არაბ.) „სურნელოვანი“, „ნელსაცხებელი“, „წამალი“ და სვან. ზაგზარ „ზეგანი, ქელი, უღელტეხილი“; სამსონი კოჯან ლაკუშოლ (ლშხ.) „გზა (ზედმიწ. – სამსონ-ის} კლდი{ს} სატეხი)“ < ქართ. სამსონ (< ძვ. ებრ.) „მზიანი“ და სვან. კოჯ „კლდე“ და ლაკუშოლ „სატეხი, სამტვრევი“...

6) სიტყვათშეერთებითი ანუ ტოპონიმ-კომპოზიტების გარდა სვანურში ხშირია სხვადასხვა ენიდან ნასესხები ცალკეული საკუთარი სახელებისაგან ნაწარმოები (ვინმეს კუთვნილების აღმნიშვნელი) ტოპონიმებიც, მაგ.: ბაკაშნი (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. – ბაკა-ს-ანი, ანუ ბაკა-ს სახელობის მიწა)“ < ქართ. ბაკა||ბააკა < არაბ. *baka* „მუდმივი“, „მყარი“; ბაკაშნი (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბაკა-ს-ანი, ანუ ბაკა-ს სახელობის მიწა)“ < ქართ. ბაკა||ბააკა < არაბ. *baka* „მუდმივი“, „მყარი“; ბერდიანი (ბზ.) „ყანა (ზედმიწ. – ბერდია-ს-ანი, ანუ ბერდია-ს სახელობის მიწა)“ < ქართ. ბერდია (< თურქ.) „ღვთის ბოძებული“, „უფლის ნაჩუქარი“; ბესტანი (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბესო-ს-ანი, ანუ ბესო-ს სახელობის მიწა)“ < ქართ. ბესო < ბესარიონ-ი (< ბერძ.) „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“; გაბრანი (ბქ.) „სათიბი, საძოვარი (ზედმიწ. – გაბრიელ-ის-ანი, ანუ გაბრიელ-ის სახელობის მიწა)“ < ქართ. გაბრიელ-ი (< ძვ. ებრ.) „ჩემი ძალა დმერთია“, ესპლანი (ბქ.) „ადგ., სათიბი (ზედმიწ. – ესპლან-ის-ანი, ანუ ესპლან-ის სახელობის მიწა)“; ოღლანი (ბქ.) „ადგ., სათიბი (ზედმიწ. – ოღლ-ან-ის-ანი, ანუ ოღლან-ის სახელობის მიწა)“ < თურქ. ოღლი „შვილი“; პეტრანი (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. – პეტრე-ს-ანი, ანუ პეტრე-ს სახელობის მიწა)“ < ქართ. პეტრე (< ბერძ.) „კლდე, ღოღი“; ქრისტანი (ბქ.) „სათიბ-სახნავი (ზედმიწ. – ქრისტე-ს-ანი, ანუ ქრისტე-ს სახელობის მიწა)“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. Χριστός; ყარბეგშანი (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. – ყარ-ბეგ-ის-ანი, ანუ ყარბეგის სახელობის მიწა)“ < თურქ. *Kara* „შავი“, „მამაცი“ + *beg* (/bej)

„ბატონი“ (მსგავსი წარმოებისაა, ასევე: გენგესანი, გოგუტანი, კუასდანი, რატანი, საღლანი, ჭაბგუტანი, ჯაფრანი/ჯაფრანი, ჯაჭუტლანი და მრავ. სხვ.).

7) ცალკე გამოყოფით შტო-გვარის სახელთაგან მომდინარე ტოპონიმებს, რომლებიც თავის მხრივ ნაწარმოებია ნასესხებ ანთროპონიმთაგან:

ა) შა- სუფიქსით ნაწარმოები შტო-გვარის აღმნიშვნელი ტოპონიმები: ადამუშა (ბზ.) „უბანი (ზედმიწ. – ადამ-იან-თ-ი)“ < ქართ. ადამ-ი < (ძვ. ებრ.) „თიხა (წითელი მიწა)“, „ადამიანი“; აფრასშა/აფრაშა (ჩოლ.) „უბანი (ზედმიწ. – აფრასიონ-იან-თ-ი)“ < ქართ. აფრასიონ-ი (< სპარს.) „მრისხანე“; ბაკაშა (ბზ.) „უბანი (ზედმიწ. – ბაკა-ან-თ-ი)“ < ქართ. ბაკა||ბააკა < არაბ. „მუდმივი“, „მყარი“; ბასილშა/ბასლანშა(ლნტ.) „უბანი (ზედმიწ. – ბასილ-იან-თ-ი)“ < ქართ. ბასილ-ი (ბერძ. „მეფური“, „სამეფო“; მურზაყანშა (ბზ.) „უბანი (ზედმიწ. – მურზაყან-იან-თ-ი)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. amirzade „ამირის შვილი“ + სპარსული სუფიქსი xan(= მირზახანი); მერზაშა (ბზ.) „უბანი (ზედმიწ. – მირზა-ან-თ-ი)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. amirzade „ამირის შვილი“; თემირშა (ბზ.) „უბანი (ზედმიწ. – თემურ-იან-თ-ი)“ < ქართ. თემურ (< თურქ.-მონღ.) „რკინა“...

ბ) შერ- სუფიქსით ნაწარმოები შტო-გვარის აღმნიშვნელი ტოპონიმები: აფრანშერ (ბქ.) „უბანი (ზედმიწ. – აფრასიონ-ის-ან-ი)“ < ქართ. აფრასიონ-ი (< სპარს.) „მრისხანე“; არჩილშერ (ლხმ.) „უბანი (ზედმიწ. – არჩილ-ის-ან-ი)“ < ქართ. არჩილ-ი (ირან.) „სწორი“, „წრფელი“, „მართალი“, „ნათელი“, „მადღმოსილი“; ბაკაშერ (ბქ.) „უბანი (ზედმიწ. – ბაკა-ს-ან-ი)“ < ქართ. ბაკა||ბააკა < არაბ. baqa „მუდმივი“, „მყარი“; ბეჟანშერ(ლნტ.) „უბანი (ზედმიწ. – ბეჟან-ის-ან-ი)“ < ქართ. ბეჟან-ი < ძვ. ირან. ვეჟან „ვეჯელი“, ანუ „ირანელი“; ბასლანშერ (ლნტ.) „უბანი (ზედმიწ. – ბასილ-ის-ან-ი)“ < ქართ. ბასილ-ი (ბერძ. „მეფური“, „სამეფო“; ნიკოშერ (ლხმ.) „უბანი (ზედმიწ. – ნიკო-ს-ან-ი)“ < ქართ. ნიკო < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. ნიკე „გამარჯვება“ და ლაოს „ხალხი“...

სშირია შა- და შერ- ფორმანტიანი შტო-გვარის აღმნიშვნელი ტოპონიმების პარალელური გამოყენების შემთხვევები, მაგ.: ბაკაშა/ბაკაშერ, აფრასშა/აფრანშერ, ბასილშა/ბასლანშერ და ა. შ., რომელთა პარალელურად, ასევე, -შერან/-შერან/-

**შერაღ/-შერაღ/-შერაღ** მაწარმოებლიანი ფორმებიც დასტურდება, მაგ.: **ბადრიშერაღ** (ჩოღ.) „უბანი (ზედმიწ. – **ბადრ-ის-ან-ებ-ი**)“ < ქართ. ბადრ-ი (< არაბ.) „სავსე მთვარე“, გადატ. „სრულქმნილი“; **ბასილშერაღ** (ლნტ.) „უბანი (ზედმიწ. – **ბასილ-ის-ან-ებ-ი**)“ < ქართ. ბასილ-ი (ბერძ.) „მეფური“, „სამეფო“; **ბასილანშერაღ** (ლნტ.) „უბანი (ზედმიწ. – **ბასილ-ის-ან-ებ-ი**)“ < ქართ. ბასილ-ი (ბერძ.) „მეფური“, „სამეფო“; **ბეჟანაშერაღ** (ლნტ.) „უბანი (ზედმიწ. – **ბეჟან-ის-ან-ებ-ი**)“ < ქართ. ბეჟან-ი < ძვ. ირან. ვეჟან „ვეჯელი“, ანუ „ირანელი“; **ნიკოშერაღ** (ლნტ.) „უბანი (ზედმიწ. – **ნიკო-ს-ან-ებ-ი**)“ < ქართ. ნიკო < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. **ნიკე** „გამარჯვება“ და **ლავოს** „ხალხი“; **ოთანშერაღ**(ლნტ.) „უბანი (ზედმიწ. – **ოთარ-ის-ან-ებ-ი**)“ < ქართ. ოთარ (< არაბ.) „სურნელოვანი“, „ნელსაცხებელი“, „წამალი“... სადაც აღნიშნულ სუფიქსებს, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, ეკისრებათ შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა სიმრავლის გადმოცემა (ჩანტლაძე, 1998: 139). ვინაიდან ჩვენი მოსხენების//სტატიის ძირითად მიზანს ნასესხები ანთროპონიმებისაგან წარმოებული ტოპონიმების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი, აგრეთვე ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა წარმოადგენს, ამიტომ შტო-გვარებსა და მათ საწარმოებელ ელემენტებზე მსჯელობას აქ აღარ გავაგრძელებთ, თუშცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ შტო-გვარის აღმნიშვნელმა სახელებმა შემოგვიინახეს უძველესი სვანური საკუთარი სახელები, რომელთა უმეტესი ნაწილი რომელიღაც ისტორიულ არენაზე უნდა დამკვიდრებულიყო სვანურში.

როგორც მრავალრიცხოვან სვანურ ანთროპონიმთაგან ნაწარმოებ ტოპონიმებზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურში, მეგრულის მსგავსად<sup>10</sup>, ხელშესახებია მრავალმარცვლიან ნასესხებ საკუთარ სახელთა დეზინტეგრაციაც (მაგ.: **ანტონრე ლასფლაჟრ/ლამდღვარ** (ლსმ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – **ანტონ-ებ-ი**{ს} **სა-სა-ფლ-ა-ო**)“ < ქართ. ანტონ-ი (ბერძ.) „ემომარი“, „ომში ჩაბმული“, „წინამძღოლი“, „მეთაური“ და

<sup>10</sup> ცნობილია, რომ მეგრულში მრავალმარცვლიანი უცხოური საკუთარი სახელები, ჩვეულებრივ, შემოკლებულად გამოითქმის: *აბესალომ* – *აბე*, *აპოლონ* – *აპო*, *ბიკენტი* – *ბიკი*, *გაბრიელ* – *გაბი*, *ერმილე* – *ერი*, *ქრისტინე* – *ქრისტი* და მრავ. სხვ. (დლონტი, 1988: 176).



სვან. **ლასფლაჭურ/ლასდღედარ** „სასაფლაო“ (*ანტო/ონტო – ანტონი*); **აფრასშა/აფრასშა** (ჩოლ.) „უბანი (ზედმიწ. – აფრასიონ-ან-თ-ი)“ < ქართ. აფრასიონ-ი (< სპარს.) „მრისხანე“ (აფრა – აფრასიონი); **აფრადშერ** (ბქ.) „უბანი (ზედმიწ. – აფრასიონ-ის-ან-ი)“ < ქართ. აფრასიონ-ი (< სპარს.) „მრისხანე“ (აფრა – აფრასიონი); **ბასიდლჭემა** (ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – ბასი-ის) სათიბი“ < ქართ. ბასილ-ი (ბერძ.) „მეფური“, „სამეფო“ და სვან. **ლჭემა** „სათიბი (შდრ. ს.-ქართვ. \*წამ-/\*წემ-) (ბასი – ბასილი)“; **ზოსიდ მოლ** (ლნტ.) „სათიბ-სახნავი (ზედმიწ. – **ზოს-ის**) ახო“ < ქართ. ზოსიმე (< ბერძ.) „სიცოცხლისუნარიანი“ და სვან. **მოლ** „ახო“ (ზოსი – ზოსიმე); **ლადიდ ლჭემა** (ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – ვლადიმერ-ის) სათიბი“ < ქართ. ვლადიმერ (< ძვ. სლავ.) „ქვეყნის მფლობელი“ და სვან. **ლჭემა** „სათიბი (შდრ. ს.-ქართვ. \*წამ-/\*წემ-)“; **მიხეშ ლაგარდუში** (ლხმ.) „ნაკარტოფილარი ადგილი (ზედმიწ. – მიხეილ-ის) ნა-კარტოფილ-არი“ < ქართ. მიხეილ-ი < რუს. Михаил < ბერძ. Михаил < ძვ. ებრ. Miquel (შდრ. ქართ. მიქელა) და სვან. **გარდუში** < ქართ. კარტოფილ-ი < რუს. Картофель < გერმ. Kartoffel (*მიხე – მიხეილი*)...

**შედევები და დასკვნები.**

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს ნასესხები ანთროპონიმების შემცველი სვანური ჰიბრიდული (resp. ნაჯვარი) ტოპონიმების გამოვლენა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა წარმოადგენს, რისთვისაც მრავალრიცხოვანი საანალიზო მასალა რამდენიმე ნაწილად დაჯგუფდა. დაჯგუფებული მასალის საფუძველზე კი გაკეთდა შემდეგი **დასკვნები**:

1. მრავალრიცხოვანი ნასესხები ანთროპონიმების შემცველ ჰიბრიდულ (ე. წ. ნაჯვარ) ტოპონიმებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ წარმოების მხრივ სიტყვათშეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმ-კომპოზიტებში ორწევრიანი (ბინომური) მართულმსახდვრელიანი (ანუ მსახდვრელ-სახდვრულიანი) სახელები გამოიყოფა და ამგვარ შეხამებაში ძირითადი მოდელები ასეთია: ანთროპონიმი + საზოგადო სახელი, ანთროპონიმი + მიმღეობა. რაც შეეხება სამკომპონენტო ჰიბრიდულ ტოპონიმებს (ორსიტყვიანი მსახდვრელით), მათი სტრუქტურული მოდელი შემდეგი

სახით წარმოგვიდგება: ანთროპონიმი + მიმღეობა + აპელატივი, ანთროპონიმი + აპელატივი + მიმღეობა, ზმნისართი + შტო-გვარის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული + აპელატივი, შტო-გვარის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული + აპელატივი + მიმღეობა და ა. შ. ცხადია, ქართულის მსგავსად, სვანურშიც ორშემადგენლიან ტოპონიმთა მეორე კომპონენტი – ინდიკატორი (ანუ გეოგრაფიული ტერმინი) ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია (მაგ.: **მურყუამ, ნაკ, შუკუ, ნალჯუამ, ლაჯუმი, ნლზიგუ, ლალგენ, დაბ, დაბარ, ტუიბ, ჭალნ...**), პირველი კომპონენტი (ანუ მსახდვრელი) კი, როგორც წესი, ნათესაობით ბრუნვაში (მაგ.: **ბზ. აქსენტი (< აქსენტიშ)** „ავქსენტის“, **ბქ. წნთიმოზიშ, ანთიმოზის**“, **ლშხ. ღალაკდიონი (< ღალაკდიონიშ)** „გალაკტიონის“, **ლნტ. აღექსნ (<აღექსნშ)** „აღექსის“, **ლნტ. ნიკუედი (< ნიკუედიშ)** „ნიკოსი“, **ჩოლ. დერდანე/დორდანე (<დერდანე/დორდანეშ)** „იორდანესი“, **ლხმ. ბაკშ, ბაკასი**“...), თუმცა, სვანურისათვის გატარებული საერთო წესის თანახმად, მსახდვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი (-შ) თითქმის ყოველთვის იკარგება ქვემოსვანურსა და ბალსზემოურ დიალექტებში, ხოლო შედარებით მყარია ბალსქვემოურში. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, „...ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ჯერ თანხმოვნითი, შემდეგ კი ხმოვნითი ელემენტის მოკვეცა დასტურდება უძველეს კომპოზიტებში (ტოპონიმები, კვირის დღეთა თუ მცენარეთა სახელწოდებები) და ზმნისართებთან ან თანდებულებთან მართვით დაკავშირებისას“ (ჩანტლაძე, 1998: 25-26)<sup>11</sup>.

2. ჩვენ მიერ გამოყოფილ ჰიბრიდულ ტოპონიმთა ძირითად მოდელებში ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი, ანუ ამ შემთხვევაში ანთროპონიმი), დიდძალი საილუსტრაციო მასალის განხილვის შედეგად, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა სხვადასხვა ენიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები. როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, ეროვნული სახელების გვერდით თითქმის ყველა ენაში

<sup>11</sup> ვინაიდან ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი სვანური ჰიბრიდული (resp. ნაჯვარი) ტოპონიმების გამოვლენა და ამ ტოპონიმებში გამოვლენილი ნასესხები ანთროპონიმების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ამასთანავე, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა წარმოადგენს, ამიტომ სინტაქსურ თავისებურებებზე მსჯელობას აქ აღარ გავაგრძელებთ.

გვხვდება უცხოური ანთროპონიმები და, ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისი არც სვანურია, სადაც საკუთრივ სვანური მასალის გვერდით ხშირად უცხოენოვანი, ძირითადად კი თურქულიდან ნასესხები, ანთროპონიმებიც დასტურდება, რომელთა უმეტესობა სვანურში ყარაჩაულ-ბალყარულიდან შეთვისებულად მიიჩნევა (ჯიქია, 1973: 213). სწორედ ეს ანთროპონიმები შეისისხლხორცა და გამოიყენა ენამ მატოპონიმებლად, თუმცა თურქული ანთროპონიმების პარალელურად ხშირად ვხვდებით ბერძნულიდან, ებრაულიდან, რუსულიდან, ოსურიდან, ირანულიდან, ძვ. სლავურიდან, არაბულ-სპარსულიდან და ა. შ. ნასესხებ ანთროპონიმებსაც, რომელთა უმეტესობა ამჟამად მხოლოდ ტოპონიმებსა და შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელებში გვხვდება. უცხოენოვან ანთროპონიმთა დიდი ნაწილი სწორედ შტო-გვარის აღმნიშვნელმა სახელებმა შემოგვინახეს და, როგორც მ. ქაღდანი მიუთითებდა, საბოლოო დავიწყებას გადაარჩინეს (ქაღდანი, 1987: 304).

3. ცხადია, ჩვენი ინტერესის ძირითად სფეროს სწორედ სესხების გეოგრაფიული მიმართულებისა და შეძლებისდაგვარად ქრონოლოგიის დადგენა შეადგენს, რაც, ბუნებრივია, დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. ნასესხებ სიტყვათა ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა, როგორც წესი, განსაკუთრებით მაშინ რთულდება, როდესაც საქმე გვაქვს უძველეს ნასესხობებთან, რომლებიც შესაძლოა ბევრათშესატყვისობებითაც იყვნენ წარმოდგენილნი ქართველურ ენებში (საღლიანი, 2005: 218). სვანურ ტოპონიმებსა და შტო-გვარებში შემორჩენილი ანთროპონიმები უძველესი ფორმაციისაა და მათი უმეტესობა, როგორც უკვე ითქვა, სწორედ ტოპონიმებმა და შტო-გვარებმა შემოგვინახეს. გარდა ამისა, სვანურმა ადრინდელმა საკუთარმა სახელებმა დროთა განმავლობაში ფონეტიკურ-სემანტიკური ადაპტაცია განიცადეს, რის შედეგადაც ხშირ შემთხვევაში ჭირს საანალიზო ფორმათა თავდაპირველი სახის აღდგენა, რაც უფრო მეტად ართულებს როგორც ქრონოლოგიური საზღვრების დადგენას, ასევე სესხების გეოგრაფიული მიმართულების გარკვევას. შედარებით ადვილია სესხების მიმართულების გარკვევა იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ანთროპონიმი **ხან**, **ყან**, **ბი**, **-მირზა/მურზა/მერზა** ფორმანტების შემცველია. სხვა ქართველურ ანთროპონიმებთან შედარებით სვანური სწორედ ამ ფორმანტიანი საკუთარი სახელების სიმრავლით ხასიათდება და უფრო მეტად ბალსქვემო სვანეთის მთავარ

დადეშქელიანთა გენეალოგიებისათვის არის დამახასიათებელი (მარგიანი, 2013: 183-184).

4. სვანურ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ხშირად ვხვდებით ჩრდილო-კავკასიურ (ყაბარდოულ, ჩერქეზულ, ოსურ...), დასავლეთევროპულ (ბერძნულ, ლათინურ), რუსულ და აღმოსავლურ (თურქულ, სპარსულ, არაბულ, სომხურ) ენათა ლექსიკის არაერთ ნიმუშს, რაც განპირობებულია გარკვეული კონტაქტებით დროსა და სივრცეში. რასაკვირველია, მათ გვერდით დიდი ოდენობით დასტურდება მონათესავე ქართველურ ენათა (ქართული, მეგრული) ნასესხობანიც, რომელთა საერთოქართველურ მონაცემთაგან გამიჯვნა რიგ შემთხვევაში საკმაოდ რთულია (სადლიანი, 2005: 218). ცხადია, ბევრად უფრო რთულდება საერთოქართველურ მონაცემთაგან გამიჯვნა იმ შემთხვევაში, როცა საქმე სწორედ უძველესი ფორმაციის ტოპონიმებსა და შტო-გვარებს შეეხება.

5. როგორც კვლევამ აჩვენა, ნასესხები ანთროპონიმების შემცველი ჰიბრიდული (ე. წ. ნაჯვარი) ტოპონიმების პირველი შემადგენელი კომპონენტი (ანუ მატოპონიმებლად გამოყენებული ანთროპონიმები) შემოსული ჩანს ძირითადად ქართულ-ზანურიდან (უშუალოდ თუ შუალობით), ხოლო ნაწილი თურქულიდან (**ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმისურის... გზით**). სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, თურქულენოვან ანთროპონიმთა და ზოგადად, **-ხან, -ყან, -ბი...** ფორმანტებით მარკირებულ საკუთარ სახელთა ფართოდ გავრცელება სვანურში განაპირობა ჩრდილო კავკასიის ენებთან – ადიღურ-ყაბარდოულთან, ყარაჩაულთან და ბალყარულთან მეზობლობამ, უშუალო კონტაქტმა, სოციალურ-ეკონომიური, სამეურნეო, კულტურული და სხვა სახის კონტაქტებმა (მ. ჯიქია, ქ. მარგიანი).

6. რაც შეეხება ფონეტიკურ-ფონოლოგიურ და სემანტიკურ მხარეს, უნდა ითქვას, რომ უცხოენოვან ანთროპონიმთა ფუძეები სვანურში დასტურდება როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით (მაგ.: **ალექსანდრე, ანთიმოზ, არსენა, ნიკოლოზ, პეტრე, რაჟდენ, როსტომ, სოსლან...**), ასევე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა თუ სემანტიკური ნიუანსებით (სახეცვლილი მონაცემებით). ზოგიერთი ნასესხები ფუძე „გასვანურებულია“, ანუ შეიცავს სვანური ენისათვის დამახასიათებელ მორფონოლოგიურ ინვენტარს: პალატალურ, ველარულ თუ ლაბიალურ უმლაუტს (მაგ.: **წნთიმოზ, აწრჩილ, ბესწრიონ, თემწაზ, ლწდიმერ, წწსყიდწ, წიკწე, იესწებ...**),

გრძელ ხმოვანს (მაგ.: **ბურწყ, მიხემ, სიმონ...**), ანაპტიქსურ ელემენტს (მაგ.: **ბექმერზაშ, თემერბექიშ, მერზაბეგი, მერზაშ, მერზილშ, მერძა, მერძალშა...**) და ა. შ., რაც ერთგვარ მეგზურობას გვიწვეს სესხების გეოგრაფიული მიმართულების გარკვევაში.

7. გარდა ამისა, ნასესხებ ანთროპონიმთა ერთ ნაწილში საკმაოდ ხელშესახებია შემდეგი ფონეტიკური პროცესები: აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაცია (მაგ.: **მერძა ბჩ „მირზა-ს ქვა“; მერძალშა დაბჩ „მირზა-უკა-ან-თ ყანები“...**), თანხმოვანთა გამჟღერება (მაგ.: **კოსლშ ლაგარლთშ „კოსტა-ს საკარტოფილ-ე“...**), დაყრუება (მაგ.: **ჯანსუხუტი მურყუამ „ჯანსუდი-ის კოშკი“**), გამკვეთრება (მაგ.: **ღალაკდიონი ლიცრლდ „გალაქტიონ-ის წყალუკა“...**); **ლ/მ/ნ/რ** (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა (მაგ.: **არტენი ნადგარ დელა „არტემ-ის ქონაკლავი დელე“; ოთანშერლ „ოთარ-ის-ან-ებ-ი“...**), რედუქციის პროცესები მსუბუქ და მძიმე ბირთვებში (მაგ.: **ბსლიშა მურყუამ „ბასილ-იან-თ კოშკი“; ბესტანი „ბესო-ს-ან-ი“; თემერბექიშ ქტანჩ „თემურ-ბეგ-ის ქე-იან-ებ-ი“; თუტფანე საყდჩ „თეოფანე-ის საყდარი“; მერზა ჭალწ „მირზა-ს ჭალა“...**), ბგერათა ჩართვა-დაკარგვა (მაგ.: ასონი მურყუამ „იასონ-ის კოშკი“; **აქსენტი მურყუამ „აქსენტი-ის კოშკი“; ლადიმე მოლ „ვლადიმერ-ის ახო“; ლადრ მოლ „ვლადიმერ-ის ახო“; ესებში ლალგენ „იოსებ-ის სა-დგ-ომ-ი“...**) და სხვ. იშვიათად, მაგრამ მაინც კინობითის სუფიქსებით გაფორმებული ნასესხები ანთროპონიმებიც დასტურდება (მაგ., **მერზილშ ტუბ „მირზა-უკა-ს ხეობა“; მერძალშა დაბჩ „მირზა-უკა-ან-თ ყანები“...**).

8. ბუნებრივია, მრავალრიცხოვან ჰიბრიდულ ტოპონიმებში შესიტყვების პირველ კომპონენტად უამრავი ისეთი ანთროპონიმი დასტურდება, რომელთა წარმომავლობა ჯერჯერობით გაურკვეველია, ამიტომ კვლევა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით აუცილებლად გაგრძელდება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

მარგიანი, 2013 – მარგიანი ქ., აღმოსავლური წარმომავლობის სახელები სვანურში, ქართველური მეცნიერება, XVII, თბ., 2013.

საღლიანი, 2005 – საღლიანი მ., ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005.

ქაღდანი, 1987 – ქაღდანი მ., სვანური საკუთარი სახელების სემანტიკა და სტრუქტურა (სულთა მატიანის მასალათა მიხედვით), ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ღლონტი, 1988 – ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.

ჩანტლაძე, 1998 – ჩანტლაძე ი., ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998.

ჭუმბურიძე, 1992 – ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბ., 1992.

ჯიქია, 1973 – მ. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, თბ., 1973

ჯორბენაძე, 1986 – ბ. ჯორბენაძე, ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXV, თბ., 1986.